სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● № 6 (4503) ● 10 დეკემბერი ● 2014 წელი ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 80 თეთრი ●

49-ე სკოლელებმა მოხუცებულები გაახარეს

კეთილი სტუმრები.

მისასალმებელია განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტი, რომელიც სკოლებში აღმზრდელობითი საქმიანობის გააქტიურებისკენ არის მიმართული. მისი მიზანია მოსწავლე ახალგაზრდობაში ტოლერანტობის, ჰუმანურობის, სხვა მაღალადამიანური თვისებების აღზრდა. ამ მხრივ საჯარო სკოლებმა მეტად ეფექტიანი ღონისძიებები უკვე ჩაატარეს. მოგითხრობთ ერთ-ერთ მათგანზე.

* * *

ბარნოვის აღმართს რომ აუყვები, პატარა, ლამაზ შენობას მოჰკრავთ თვალს, რომელიც ძველებური არქიტექტურითა და სილამაზით გამოირჩევა, ეს თბილისის 49-ე საჯარო სკოლაა. იგი მცირეკონტიგენტიანია, სულ რაღაც სამი სართულია. შესვენებებზე ბავშვების ჟრიამულით ხალისობს. შეაბიჯებთ თუ არა 49-ე სკოლის დერაფანში, გგონიათ, თითქოს საკუთარ სახლში ხართ.

სკოლის მთელი კოლექტივი ორიენტირებულია საამაყო, განათლებული, ჯანსაღი აზროვნების მომავალი თაობის აღზრდაზე. ამ სკოლაში ახალგაზრდები არ იღებენ მხოლოდ განათლებას, ისინი ასევე იძენენ ცხოვრებისათვის საჭირო უამრავ უნარ-ჩვევას, გამოცდილებას.

ამ მიზნის მისაღწევად 49-ე სკოლის მიერ განხორციელებულ პროექტზე ვისაუბროთ, რომელიც ჰუმანურობის და ქველმოქმედების საუკეთესო მაგალითია.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ სკოლაში გაჩნდა იდეა წამოეწყოთ პროექტი სახელწოდებით „ჰუმან ინცლუსივე ჰუგ“. ამ ყველაფრის მიზანი კი მოხუცების დახმარება იყო. თავიდან პროექტი განვითარდა როგორც „ერთი კარტოფილისა და ერთი კანფეტის აქცია“. აქციის ფარგლებში მოსწავლეებს სურვილისამებრ უნდა მოეტანათ ერთი კარტოფილი და ერთი კანფეტი, შეგროვილი პროდუქტით კი მოხუცებს დახმარებოდნენ. თუმცა

კეთილ მოხუცებულებთან.

პროექტმა სხვა მოულოდნელი მსვლელობა მიიღო, როდესაც სასკოლო საზოგადოების გულისხმიერებამ ყოველგვარ

კეთილი მოცეკვავეები.

ქველმოქმედება უმაღლესი ადამიანური ფასეულობაა

მოლოდინს გადააჭარბა. რა თქმა უნდა, ერთი კარტოფილისა და ერთი კანფეტის მოტანით არავინ დაკმაყოფილდა. მშობლებმა, მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა „ბარაქის კალათა“ შეავსეს კარტოფილით, მაკარონით, ზეთით, წიწიბურათი და სხვა პროდუქტებით.

აქციის ორგანიზატორების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების პედაგოგების, **რუსუდან ხოშარაულის** და **მარიკა ჯიქიას** სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მათ დაინახეს რაოდენ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ამ აქციამ სასკოლო საზოგადოებაში.

მოსწავლეებმა სურვილი გამოთქვეს, მოხუცების გასახალისებლად კონცერტი

კეთილი მომღერლები.

მოემზადებინათ, ამ სურვილის ასრულებაში მათ რა თქმა უნდა უპირველესად სკოლის დირექტორი, ქალბატონი **ეკატერინე ცაავა**, ენერგიული, კეთილშობილი, მზრუნველი და გულისხმიერი პიროვნება დაეხმარა. ახალგაზრდა დირექტორს ენდობა პედაგოგიური კოლექტივი და სასკოლო საზოგადოება.

აი, 21 ნოემბერს დადგა დღე, როდესაც მთელი სკოლა უნდა გამგზავრებულიყო მოხუცთა და მიუსაფართა პანსიონატში. დილიდანვე დაიწყო სკოლაში ჟრიამული და მზადება დაგეგმილი აქციისათვის, დილიდანვე არ წყდებოდა სურსათისათვის განკუთვნილ ოთახში მსურველების შემოსვლა, რომელთაც პროდუქტები მოჰქონდათ, სპეციალური საჭიროების ბავშვებმა საკუთარი ხელით გააკეთეს პლაკატები მოხუცებისათვის, რომლებზეც საოცრად თბილი სიტყვები დააწერეს.

მთელი სკოლა დაირაზმა და გაემართა **წმინდა გაბრიელ ბერის** სახელობის მოხუცებულთა სახლისაკენ. ეს იყო ძალიან ემოციური, სასიხარულო და სევდიანი შეხვედრა. ფერადი ბუშტებითა და პლაკატებით ხელდამშვენებული მოსწავლეები მოხუცებულთა სახლისაკენ გაემართნენ, სადაც მათ 38 ბინადარი ელოდათ.

გულისამაჩუყებელი შეხვედრა გაიმართა. მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა მოხუცებს კანფეტები მიართვეს, შემდეგ კი მოსწავლეებმა სპეციალურად მომზადებული საცეკვაო და მუსიკალური ნომრები შეასრულეს. კონცერტის დასასრულს 49-ე საჯარო სკოლის დირექტორმა **ეკატერინე ცაავამ** შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა, მათ მადლობა გადაუხადა გაწეული ქველმოქმედებისათვის და მიესიყვარულა მოხუცებს.

მასპინძლები ზემოთ სართულისაკენ გაგვიძღვნენ, სადაც მწოლიარე მოხუცები იმყოფებიან. მოსწავლეებმა მათ გასახალისებლად ხელმეორედ შეასრულეს საკონცერტო ნომრები.

გულისამაჩუყებელი დამშვიდობების შემდეგ კი, ემოციურად დატვირთული სტუმრებიცა და მასპინძლებიც ერთმანეთს გამოემშვიდობნენ.

49-ე საჯარო სკოლისათვის კი ეს აქცია არ იქნება ერთჯერადი სახის და, როგორც სკოლის ადმინისტრაცია აცხადებს: ისინი მზად არიან კვლავ გაიმეორონ, კვლავ იყვნენ ინიციატორები მსგავსი პროექტებისა.

49-ე საჯარო სკოლა მსგავს აქციაში იწვევს სხვა სასწავლო დაწესებულებებს და ელოდება, როდის ჩაატარებენ ისინი საქველმოქმედო ღონისძიებებს.

მარიამ კვიატკოვსკაია,
საინფორმაციო მენეჯერი

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: “საქპრესა” – გურამიშვილის გამზ. 64, ტელ.: (032) 2 518 518, “მაცნე” – საირმის ქ. კორპ N 4, ტელ.: 2 14 74 22.

„ახლები იმედებს გაგვიმართლებენ“

თბილისის მე-9 საჯარო სკოლაში

მეტრო „ნაძალადევთან“ ტრასას რომ გადაკვეთთ, ულამაზეს სკოლას მიადგებით. ნომერი „ცხრიანი“ ამშვენებს მის ფასადს. იგი შიგნით უფრო მომხიბლავია მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით. ახალ სასწავლო წელს აქ ბევრი სიახლე შემოვიდა და დაინერგა, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალი ხელმძღვანელის მობრძანება. არამარტო დირექტორია ახალი, სასწავლო დარგში მისი მოადგილეც ახალი გახლავთ.

მოსაცდელში ახალ დირექტორს ველოდებოდი. ერთ ღვაწლმოსილ მასწავლებელს გავესაუბრე.

– კარგი დირექტორი გვყავს, თავმდაბალი, გულისხმიერი, ლამაზი, ტკბილმოუბარი, მოადგილეც კარგი კაცია. – განაცხადა მან. ეს აშკარად გულწრფელი სიტყვები იყო და მლიქვნელობით ნათქვამს არ ჰგავდა, შემდეგ დაუმატა: გვჯერა, ახლები იმედებს გაგვიმართლებენ.

ამ წერილის ავტორი არ იზიარებს „გუნდურობის პრინციპით“ მართვის თეორიას, თითქოს „დემოკრატიულს“. ვფიქრობთ ამ შემთხვევაში ხელმძღვანელის როლი კნინდება. იქნებ უხეში შედარება იყოს (თუ ასეა, ბოდიშს მოვიხდი), მაგრამ კონსტანტინე გამსახურდიას მოვიშველიებ: „თუ ფარას მარჯვე ყოჩი არ მიუძღვის, ცხვარი კბოდეში გადაცვივა უცილოდ“.

მე-9 სკოლის ახალი ხელმძღვანელები საგანმანათლებლო სივრცეში საკმაოდ ცნობილნი, გამობრძმედილი პედაგოგები არიან, მაგრამ მსურს „ნახალოვკელებს“ უფრო კონკრეტული ინფორმაცია მივაწოდო.

დირექტორი **მარინე გიგაური** თბილისის III ექსპერიმენტული სკოლისა და მაშინდელი პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის აღზრდილია. პროფესიონალი, გამოცდილი პედაგოგი კარგა ხანს თბილისის 193-ე საჯარო სკოლას ხელმძღვანელობდა.

სასწავლო დარგში დირექტორის მოადგილე დავით ბიწაძეც „პუშკინელია“, ბრწყინვალე პედაგოგი და გამობრძმედილი ხელმძღვანელი. ნაძალადეველები მას ჩემზე უკეთ იცნობენ, რადგანაც ამ რაიონში იყო პედაგოგი, განათლების განყოფილების ინსპექტორი, 148-ე საჯარო სკოლის დირექტორი, შემდეგ სხვა რაიონში 49-ე საჯარო სკოლის დირექტორი.

დიდი ბედნიერებაა, რომ მე-9 სკოლას უმეტესობა ძლიერი და შემოქმედი პედაგოგები ჰყავს. სკოლის სიამაყეს წარმოადგენენ სამეცნიერო ხარისხის მქონე მასწავლებლები: **მანანა წნორიაშვილი** და **მარიკა მარჯანიძე** (გერმანულში სახელმძღვანელო წიგნების ავტორი). სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **ნათია მაღლაფერიძე** დაწყებით კლასებში, როგორც იტყვიან, ამინდს ქმნის.

სკოლის 11 პედაგოგი სერთიფიცირებულია. კათედრებს უნარიანად უძღვებიან: ქართულისას – **ნათელა კუხიანიძე,** მათემატიკისას – **ევგენია შუკაკიძე**, საბუნებისმეტყველოს – **ლიანა აფციაური**, საზმეცნიერებისას – **ნანა გონიტაშვილი**, უცხოური ენებისას – **ნათია ტრაპი**, დაწყებითისას – **ციცინო ვაზაგაშვილი**, ესთეტიკა-სპორტისას – **ნინო იოსავა**.

შარშან 38 მოსწალემ დაამთავრა ეს სკოლა. **მათე სოზიაშვილმა** ოქროს მედალი მოიხვეჭა, **მთვარისა ქვრივიშვილმა** კი – ვერცხლისა. 30 კურსდამთავრებული დღეს სტუდენტია. აქტიური და მასობრივია ამ სკოლის მოსწავლეთა ჩართულობა შემოქმედებით ოლიმპიადებში, კონფერენციებში, კონკურსებში.

მარინე გიგაურის ძალისხმევით მე-9 სკოლა „ას პილოტირებულთა“ რიგებშია. შედეგი: სკოლაში ჯანმრთელობის სანიმუშო კაბინეტი გაიხსნა, რომელსაც გამოცდილი ექიმი **ირინე ჭითანავა** დიდი მონდომებით უძღვება. ასევე მოსწავლეებს კეთილმოწყობილი ბუფეტი ემსახურება.

დავით ხაბეიშვილი და **მაია მჭედლიშვილი** არ გვანან „შაშკინის მანდატურებს“. ისინი არ ერევიან დირექციისა და პედაგოგების საქმიანობაში. მეგობრობენ მოსწავლეებთან, განამტკიცებენ შეგნებულ დისციპლინას, ზრუნავენ სკოლის უსაფრთხოებისათვის.

მკითხველი ატყობს: თავი ვერ დავაღწიე ზოგადობას, კონკრეტიკა კი მწირია. თუ დირექციის, პედაგოგების სურვილი იქნება, სხვა დროს უფრო ვრცლად და კონკრეტულად გავაშუქებთ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის თემატიკას.

დამდეგ ახალ წელს გილოცავთ, წარმატებებს და ბედნიერებას გისურვებთ მე-9 სკოლელებო!

თბილისის 84-ე საჯარო სკოლა

გაუმარჯოს შემოქმედებით შემართებას

ამ ერთ-ერთ მცირეკონტიგენტიან სკოლის დირექტორ **მანანა ბაციკაძესთან** საინტერესო, გულთბილი საუბარი გამოგვივიდა. 84-ე სკოლის სევდიან ისტორიას შევეხეთ, თუ როგორ დაიწვა იგი და როგორ გადმოსახლდნენ წურწუმიას 17-ში. ბევრი სირთულის გადალახვის შემდეგ დღეს სკოლა წარმატებულთა რიგებშია.

შენობაში შემოსვლისთანავე იგრძნობა, რა შემოქმედებითი შემართებით შრომობენ შეხმატკბილებულ გუნდად შეკრული პედაგოგები.

ოცი წლის პედაგოგიური სტაჟის მქონე მათი ხელმძღვანელი **მანანა ბაციკაძე** საქმის სიყვარულითა და ენთუზიაზმით გამოირჩევა.

იგივე უნდა ვთქვა დირექტორის მოადგილის, მათემატიკის ჩინებული მასწავლებლის **ნანა ჩუმაშვილის** შესახებ. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **ეთერ თურმანაულს**, როგორც იტყვიან ლომის წვლილი შეაქვს სკოლის გაძლიერებაკეთილდღეობაში.

12 სერთიფიცირებული მასწავლებელი მოღვაწეობს აქ და არც სხვები უდებენ ერთმანეთს ტოლს. ასეთ ძლიერ კადრებს რომელი სკოლა არ ინატრებდა? სწორედ ამიტომ მიმდინარეობს აქ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა მაღალი ხარისხის ნიშნით.

დირექტორმა შემომთავაზა, პედაგოგებს გავსაუბრებოდი, რომ წერილი ტენდენციური არ გამოსულიყო, მაგრამ შევთანხმდით, რომ ასეთ კონკრეტიკაზე სხვა დროს გვემსჯელა.

მოდით, ჯერ გავიცნოთ საგნობრივი კათედრები და მათი ხელმძღვანელები. უნარიანად, შემოქმედებითად უძღვებიან: ქართული ენის კათედრას – **მანანა მამულაშვილი**, მათემატიკისას – **მზია ნატროშვილი**, უცხო ენისას – **თეა მაისურაძე**, საზმცოდნეობისას – **თინა ბაბალაშვილი**. დაწყებითისას – **მაია ტეფნაძე**, ეთიკა-ესთეტიკა-სპორტისას – **ეკა ბედოშვილი**. სიახლეა ახალი – სადამრიგებლო კათედრის შემოღება, რომელიც აღმზრდელობით მუშაობას აძლიერებს, მისი ხელმძღვანელი გახლავთ გამოცდილი პედაგოგი **ნინო მალასიძე**.

სასკოლო ცხოვრებას უდაოდ ახალისებს და ესთეტიკურ ხიბლს მატებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც უნარიანად უძღვება XI კლასელი **ქეთი ჩართოლანი**.

სკოლის ყველა მიღწევას ვერ ჩამოვთვლით, თუმცა, ზოგიერთი მათგანი მაინც უნდა აღვნიშნოთ.

შარშან 54 ახალგაზრდამ დაამთავრა სკოლა, რომელთაგან 70% სტუდენტი გახდა. ორი 100%-იანი გრანტის მფლობელია. ნიჭიერი, სწავლის „ათოსნები?“ – რამდენიც გინდა! კომპიუტერით დაჯილდოებული გახლავთ IX კლასელი **გვანცა მოსიაშვილი**. პირადად გავიცანით მეორე ასეთი ჯილდოს მფლობელი, უნიჭიერესი მოსწავლე **ნინო კრილოვა**.

პედაგოგები ყველა პროექტს, სიახლეს მხარს უჭერენ და შემოქმედებითად ავითარებენ კიდეც. ტოლერანტობის კვირეულში თემაზე **„არა – ძალადობას!“** ეფექტიანი ღონისძიება მიუძღვნა გამოცდილმა მასწავლებელმა **თინა ბაბალაშვილმა**, ხოლო მანდატურმა **ეკა ბოჭორიშვილმა** ამ პრობლემის შესატყვისი ფილმი უჩვენა ახალგაზრდებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ მეორე მანდატურის **ზვიად მწყერაშვილის** კარგი მუშაობა, რომელიც ახალგაზრდებს ასწავლის საგზაო უსაფრთხოებას. ორივე მანდატურმა ავტორიტეტი უკვე დაიმკვიდრა.

შარშან სკოლა გახდა რაიონის ჩემპიონი პოპულარულ **„მხიარულ სტარტებში“**. ახლახან კი ამავე სახეობაში სასკოლო შეჯიბრება გაიმართა, რაშიც მოსწავლეთა მამები აქტიურად ჩაერთვნენ.

სკოლის სიამაყეა ევროპის ჩემპიონი „ძიუდოში“ ქალთა შორის **მზია ბებოშვილი.** მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკურ-ესთეტიკურ აღზრდაში დიდ როლს ასრულებენ სკოლასთან არსებული წრეები: მაგიდის ჩოგბრუთისა პედაგოგ **დიმიტრი ქავთარაძის** ხელმძღვანელობით. მეტად პოპულარულია ქართული ხალხური ცეკვების წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს ცნობილი მოცეკვავე, ანსამბლ „ერისიონის“ წევრი **გვანცა ლობჟანიძე**.

სკოლის ინფრასტრუქტურაზე არაფერი გვითქვამს. ახლა ვიტყვით, რომ იგი უაღრესად მოწესრიგებულია. მშვენიერი გათბობა მეცადინეობისთვის სასურველ პირობებს ქმნის, თუნდაც გარეთ ქარ-ყინვა ძუ მგელივით ღმუოდეს. აი, მოწესრიგებული სამედიცინო ოთახი გამოცდილი ექიმის **ხათუნა ძმანაშვილის** ხელში.

მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ სასკოლო ბუფეტი.

მართალია, სკოლის ცხოვრების ყველა სფერო ვერ გავაშუქეთ, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ძლიერი პედაგოგიური კოლექტივი მთელი შემართებით, შემოქმედებითად ირჯება და იხარჯება.

სადაც ასეთი მონდომება და საქმის სიყვარულია, გამარჯვებაც იქ არის.

დამდეგ ახალ წელს გილოცავთ, 84-ე სკოლელებო, ახალ-ახალ წარმატებებს გისურვებთ!

ბორის ევგენიძე

იუბილარს თვალი ვარსკვლავებისკენ უჭირავს

მეხუთე სამშობიაროს უკანა მაღლობზე ნაძვების კორომთა ალყაში აბასთუმნის ობსერვატორიასავით კოხტად წამოსკუპულა კერძო სკოლა „**ნუნუ ავაგუმაშვილი**“. კარგად მახსოვს მისი დაფუძნება და პირველი ნაბიჯები. ენერგიულად ძლევდა ყველა სიძნელეს, ზღაპრული ამირანივით. იზრდებოდა, ერთი დღისა ერთი კვირისას ჰგავდა, ერთი კვირისა – ერთი თვისას, ერთი თვისა – ერთი წლისას.

დამფუძნებლებმა **ომარ ბუნტურმა** და **ნუნუ ავაგუმაშვილმა** თავიდანვე ძლიერი, შემოქმედი პედაგოგიური კადრები შემოიკრიბეს და საქმე მშვენივრად აეწყო.

დღეს ეს სკოლა იუბილარია, **ოცი წლის ჭაბუკია**. პედაგოგებმა და მოსწავლეებმა ღირსეულად, ზეიმით აღნიშნეს კიდევაც ეს იუბილე.

დაფუძნების დღიდან სკოლის დირექტორი გახლავთ გამობრძმედილი, ენერგიული, სიახლეების ინიციატორი პედაგოგი **ნუნუ ავაგუმაშვილი**. ყოველთვის ასეთი იყო იგი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე: შემოქმედი, მაძიებელი, რეფორმატორი, დაწყებითი კლასების ჩინებული მასწავლებელი.

მე-15 საჯარო სკოლაში, რომელიც, სამწუხაროდ, ავადსახსენებელმა **შაშკინმა** გააუქმა, ქალბატონი **ნუნუ** დაწყებითი განათლების ლიდერი გახლდათ, მეთოდგაერთიანებას ხელმძღვანელობდა, საქალაქო ღია გაკვეთილებს **ამონაშვილის** სტილში ატარებდა.

ეს დიდი გამოცდილება პედაგოგმა ამ კერძო სკოლაში გადმონერგა და დიდ წარმატებებს მიაღწია.

სკოლის ინფრასტრუქტურა ბრწყინვალედ არის მოწესრიგებული და ამაზე ბევრს არაფერს ვიტყვი. შეხვალთ და ესთეტიკური ხიბლი უთუოდ მიგიზიდავთ. თვალსაჩინოება, რომელსაც ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა **იაკობ გოგებაშვილი**, სასწავლო განწყობილებას და მოტივაციას აძლიერებს. დიდებულად აღჭურვილი კომპიუტერული კაბინეტი აქვთ. კიდევ უკეთესი სასკოლო ბიბლიოთეკა, სახელმძღვანელოებითა და სხვა სახის ლიტერატურით მდიდარი უთუოდ მოგხიბლავთ. მოსწავლეებს და პედაგოგებს ეფექტიანად ემსახურება შემოქმედი ბიბლიოთეკარი **სვეტლანა კონჯარია**.

ყუათიანი, არომატული სადილი გნებავთ? მიირთვით, მოსწავლეებო! ამაში კარგად მოგემსახურებათ გამოცდილი მებუფეტე-მზარეულები: **მედეა ჯოხაძე** და **ზეინაბ ოდიკაძე**. თქვენს ჯანმრთელობას საიმედოდ იცავდა და დაიცავს კვალიფიციური ექიმი **ირმა ბოგდანი**.

ზემოთ ვთქვი, დირექტორი მაღალპროფესიონალი კადრების შემოკრების დიდოსტატია-მეთქი. გავიცანი დირექტორის ჩინებული, შრომისმოყვარე მოადგილეები სასწავლო დარგში, მათემატიკის ძლიერი სპეციალისტი **თამარ იმედაძე** და აღმზრდელობით დარგში თეატრალი **თეა აბუთიძე**.

ახლა მაღალ შედეგებზე ორიენტირებული საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელები გავიცნოთ. ქართული ენისა და რელიგიის ისტორიის კათედრას უნარიანად უძღვება – **ეკა გაბელაია**, მათემატიკა-ინფორმატიკისას – **ეკა ჭიტაძე**, უცხოური ენებისას – **ნინო ქელბაქიანი**, საბუნებისმეტყველოს – **თამარ პაქსაშვილი**, საზმეცნიერებისას – **ნინო ხუციშვილი**, შრომით-ფიზიკურ-ზრდის და ესთეტიკისას – **თეა არზიანი**. ეს უკვე სიახლეა! აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების მიზნით ჩამოყალიბდა **კლასის დამრიგებელთა კათედრა**, რომელსაც ენერგიული **ირმა შავლაძე** მეთაურობს.

9 პედაგოგი სერთიფიცირებულია, მათგან ინგლისურის მასწავლებელი **თამარ გელენიძე** 1000 ლარინი სერთიფიკატის მფლობელია. დირექტორმა გამაცნო პედაგოგების მუშაობა, ქების სიტყვები არ დაიშურა მათზე. გაზეთის ფორმატის გამო ვერ შევძლებ მათ დახასიათებას, მაგრამ თავდადებული მუშაობისთვის მადლობას ვუცხადებთ პედაგოგებს: **თამარ გელენიძეს, ლანა დანელიას, ნინო ქელბაქიანს (ინგლისური), მზია ბაყაშვილს (ქართული), ციური ცერცვაძეს (დაწყებითი), ვაჟა მანგოშვილს, თამარ იმედაძეს (მათემატიკა), ნუნუ ვაშაძეს (ისტორია), ანა გოგოლაურს (ბიოლოგია), თამარ პაქსაშვილს (ქიმია), თეა არზიანს (მუსიკა), ეკა გაბელიას და ია კაკაურიძეს** (IV-VIII კლასების დამრიგებლები). თუ ვინმე გამომრჩა, ბოდიშს ვუხდი და „შეცდომას“ შემდეგში გამოვასწორებ.

„ხე ნაყოფითა საცნაურ არს“ – გვასწავლის ბიბლია. ასეა მასწავლებელიც. იგი შრომის შედეგებით ფასდება. შედეგები კი მოკლედ ასეთია: სკოლა შარშან 23 მოსწავლემ დაამთავრა და ყველა სტუდენტია. 100%-იანი გრანტით ჩაირიცხა **ლუკა ბოლქვაძე**. ოქროს მედლის მფლობელია ინგლისურში კემბრიჯის სერტიფიკანტი **მარი კერესელიძე**, ვერცხლისა – **კესო მდივანი**. ასევე ჩვენი სკოლის მედალოსნები არიან **თათია გაჩეჩილაძე, მიშა იაკობიძე, ცოტნე მანგოშვილი, მილედ შამუგია, მარი ელბაქიძე, მარი კერესელიძე**.

სკოლაში კიდევ სიახლეა ისიც, რომ **XII კლასელებისთვის გახსნილია ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებელი ექსპერიმენტული კლასი.**

დირექტორის კაბინეტში სტენდისკენ გამექცა თვალი, აი, პედაგოგებისა და მათი აღსაზრდელების მონაგარი: **ნიკა ხიტირი** (IX კლასი) ინგლისურ ენაში რესპუბლიკური ოლიმპიადის წარმატებულია. „ტვინების კონკურსში“ (ალბათ ნიჭიერების) სკოლა ნაძალადევის რაიონში I ადგილზე გავიდა, ქალაქის მასშტაბით კი – ხუთეულში.

თვალი მომტაცა ახალი გამგებლის **ზაზა გაბუნიას** მიერ სკოლისთვის გადაცემულმა ოქროსფერმა თასმა. დიპლომებისა და სიგელების „რა სიუხვეა, რა სიმრავლეა!“ პედაგოგ **ციური ცერცვაძის** მესამეკლასელებმა: **ცაცა გურგენიძემ** და **ქეთი პიტავამ** „საქართველოს საუკეთესო მოსწავლეთა კლუბის“ წევრის ეგიდით ქართული ენის ოლიმპიადაში უნიკალური სერთიფიკატი „კინგსელისათვის“ მოიპოვეს. **ქეთი პიტავა** დაჯილდოვდა ექვსთვიანი უფასო ტრენინგით. სკოლის სიამაყეა კურსდამთავრებული **ბექა ბურჯანაძე, რომელიც** საქართველოს და ესპანეთის საკალათბურთო ნაკრების წევრი გახლავთ.

კერძო სკოლა „ნუნუ ავაგუმაშვილი“ – 20

სკოლაში სწავლების ხარისხს უფრო ამაღლებს, ასევე სწავლა-აღზრდის პროცესს, სასკოლო ცხოვრებას უფრო ახალისებს და აცოცხლებს საწრეო მუშაობა.

სასწავლო საგნად შემოღებულია ჭადრაკი, რომელსაც ასწავლის მოჭადრაკე და ხელოვანი **ვახტანგ მორჩილაძე**. ცეკვის წრის მასწავლებელია **მარინე პეტროსიანი**, კარატეს წრისა კი – **დიმიტრი მიქაბერიძე**. სკოლის მშვენებაა თეატრალური სტუდია, რომელსაც ხელმძღვანელობს ნიჭიერი **თეა არზიანი**. XI კლასელი **ლაზარე ლონდარიძე** ქალაქ ბათუმის ლოგოს შექმნაში აქტიურად მონაწილეობს. წარმატებას ვუსურვებთ მას.

სკოლის აქტივში უთუოდ უნდა ჩაიწეროს ახლახან ჩატარებული ემოციური ღონისძიება ტოლერანტობის თემაზე „**არა – ძალადობას!**“ რომელსაც ეფექტიანად უძღვებოდნენ ბიბლიოთეკის გამგე **სვეტა კონჯარია** და დირექტორის მოადგილე **თეა აბუთიძე**. მათ მოსწავლეთა მასობრივი ჩართულობით განიხილეს ამ პრობლემაზე დაწერილი წიგნი „**ცოცხლად დამწვარი**“.

კიდევ ბევრი კარგის თქმა შეიძლება ამ სკოლაზე. ჯერჯერობით ეს ვიკმაროთ და შემდგომში, თუ სურვილი და მზაობა იქნება, სწავლა-აღზრდის სხვა კონკრეტულ თემებზეც ვიმსჯელოთ.

ახლა კი **დამდეგ ახალ წელს გილოცავთ, მაღლობზე აბასთუმნის ობსერვატორიასავით ნაძვნარში ჩაფლულო „ნუნუ ავაგუმაშვილის“ სკოლელებო და ციდან ვარსკვლავების მოწყვეტას გისურვებთ!**

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

„პეგასი“ ცოდნის სიმაღლეებს იპყრობს

კერძო სკოლის სიკეთე

სკოლა, რომლის შესახებაც გვინდა გიამბოთ, დაარსებულია 2000 წელს „**ოქროს ვერძის**“ სახელით, თუმცა 2011 წლიდან მას სახელწოდება შეეცვალა და ფუნქციონირებს „**პეგასის**“ სახელით (პეგასი ბერძნული მითოლოგიით ფრთოსანი ცხენია). სკოლას ხელმძღვანელობს პედაგოგიურ ასპარეზზე დიდხანს ნაღვაწი, დამსახურებული მასწავლებელი **დემურ ავალიანი.**

ბატონმა **დემურმა** 1976 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ისტორიკოსის დიპლომით იწყებს მუშაობას 55-ე საჯარო სკოლაში, შემდეგ მოსკოვში დაამთავრა ასპირანტურა 1978-1980 წლებში და ბრუნდება ისტორიის მასწავლებლად 22-ე საჯარო სკოლაში.

2000 წელს მან ჩაუყარა საფუძველი იმ სკოლას, რომლის შესახებაც გვიწევს ამჯერად საუბარი.

დირექტორი დიდი წარმატებით ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობებს. უპირველესად ეს შეიგრძნობა პედკოლექტივთან ერთად მის მიერ შექმნილ ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო გარემოში, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ კლას-კაბინეტებში, პროფესიონალი მასწავლებლების ერთ ბირთვად შეკვრაში. მასწავლებლები სწავლის უახლესი ხარისხით და ინოვაციური მეთოდებით ახერხებენ ყველა დისციპლინის გაღრმავებულ სწავლებას. სკოლაში ისწავლება კომპიუტერული პროგრამები, ხდება ჩვენი ქვეყნის ისტორიასთან ერთად მსოფლიო კულტურის და ისტორიის შესწავლა, ტარდება კონფერენციები, დისკუსიები, ექსპედიციები, ლაშქრობები, ინტელექტუალური თამაშები, შემეცნებითი ხასიათის ექსკურსიები.

სასწავლო დარგში სკოლის დირექტორის მოადგილეა გამოცდილი პედაგოგი **ლალი სეთურიძე**, აღმზრდელობით დარგში კი – **ჯული სილაგაძე** და **მერი გურგენიძე**, რომლებიც მთელ ენერგიას დებენ სკოლაში სრული სასწავლო და შემეცნებითი გარემოს შესაქმნელად.

სკოლაში სწავლობს 190 მოსწავლე, რომელთა აღზრდა-განათლებაზე ზრუნავს 40 პედაგოგი, მათგან სერთიფიცირებული არიან მასწავლებლები: **ეკატერინე კუხიანიძე, ლალი სეთურიძე, თამარ კუტუბიძე, ნინო ახვლედიანი, ეკატერინე არსენიშვილი, მაკა ბესელია, ირმა ხუნდაძე, მაია ფირაშვილი, ელენე სულავა**.

ქიმიას ეფექტიანად ასწავლის მეცნიერებათა დოქტორი **რუსუდან ტაბიძე**. მყარ უნარ-ჩვევებს უყალიბებს მოსწავლეებს აგრეთვე მეცნიერებათა დოქტორი **როლანდ ჩხეიძე**. სკოლის წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვთ ხარისხის მართვის მენეჯერს და პიარმენეჯერ **თამუნა შარაძენიძეს.**

სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები: ქართული ენის და ლიტერატურის – ხელმძღვანელია ქალბატონი **ნინო ახლედიანი,** მათემატიკისა და ინფორმატიკული ტექნოლოგიების – **ციცინო ენუქიძე**, უცხოური ენების კათედრას სათავეში უდგას **ეკატერინე არსენიშვილი**, საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრას კი – **ეკატერინე კუხიანიძე**, სპორტის და ხელოვნების კათედრას – **მერი გურგენიძე**, რომელიც ამ სფეროში 2012 წლის საუკეთესო კრიტიკოსად არის მიჩნეული, საბუნებისმეტყველო კათედრას ხელმძღვანელობს **ჯული სილაგაძე**.

სკოლას გასულ საწავლო წელს ჰყავდა 3 ოქროს და 5 ვერცხლის მედალოსანი მოსწავლე. უმაღლეს სასწავლებელში მაღალი აკადემიური ნიშნებით ჩაირიცხა ყველა კურსდამთავრებული. „**პეგასი**“ არის კერძო სკოლა, რომლის ძირითად მიზანს და იდეას წარმოადგენს ისეთი საგანმანათლებლო სივრცის შექმნა, სადაც ყველა კურსდამთავრებულს საშუალება აქვს მიიღოს ფუნდამენტური განათლება. იგი დააკმაყოფილებს თანამედროვე ევროპულ სტანდარტს. სკოლა ყველა პირობას ქმნის მოსწავლეებისთვის მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად. სკოლაში ჩამოყალიბებულია საატესტაციო და ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებელი ჯგუფები, აგრეთვე აქვე ფუნქციონირებს საშაბათო სკოლა V-XI კლასების ჩათვლით.

სკოლაში სწავლობენ მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები, თუმცა იმათთვის, ვისაც სჭირდება მასწავლებლის დახმარება, იქმნება კორექციული ჯგუფები. არ შეიძლება არ აღინიშნოს

იმ მოსწავლეების ბეჯითი მეცადინეობა, რომლებიც სკოლის ავტორიტეტს ამაღლებენ თავიანთი განათლების ხარისხის დონით. ესენია: **სალომე ჯანიაშვილი, ნინო პერანიძე, მარიამ ჩუბინიძე, მარიამ ონიანი, თამთა ჩუბინიძე, ნიკა ჯანიაშვილი, მარი დევდარიანი, ლიზი ოქროპირიძე, მარიამ სისაური, ირაკლი მიჩიტაშვილი, ნინო ნაცვლიშვილი, საბა ოტიაშვილი, ანა ხულელიძე, ნინო ნეფარიძე, დავით ქართველიშვილი, თაკო ჯაფარიძე, მიხეილ ცერცვაძე, მარიამ პერანიძე, ნინო ნადრაძე, მიხეილ ოტიაშვილი, ქეთევან პერანიძე, ზურა შენგელია, გიორგი გეჯაძე, გეგი გოგოლაშვილი, თორნიკე მარგველაშვილი, მარიამ მეტრეველი, დიანა მილევსკაია, გიგა ნეფარიძე, ანი მუხაშავრია, თეა ტეფნაძე, ბაქარ ქორჩილავა, ნიკა ნაზღაიძე, ილია ბენდელიანი, ეთერ შერმადინი, ჯუბი ჩიქოვანი** და სხვები. ბევრი გამოგვრჩა, მაგრამ გული ნუ დაწყდებათ, სხვა დროს მათ შესახებაც ვიმსჯელებთ, რა თქმა უნდა, პოზიტიური კუთხით.

სკოლაში მოსწავლეთა მასობრივი ჩართულობით ტარდება სასწავლო ოლიმპიადები სხვადასხვა საგნებში. აღსანიშნავია, ინგლისური ენის ოლიმპიადაზე წარმატებული მოსწავლეები, რომლებმაც პრესტიჟი აამაღლეს. **მარიამ ონიანი** და **სალომე ჯანიაშვილი** არიან ეს წარჩინებულნი.

სკოლაში სწავლასთან ერთად დიდი ყურადღება ეთმობა კულტურულ, მხატვრულ, შემოქმედებით ღონისძიებებს, რაც მოსწავლეთა ცხოვრებას საინტერესოს, სახალისოს, დატვირთულს და წარმატებულს ხდის. მხატვრულ კითხვაში სკოლა წარმოაჩინეს **ლუკა ჩიტიაშვილმა** და **მარიამ ონიანმა**, ფორტეპიანოზე დაკვრაში – **მარიამ დევდარიანმა**, ხატვასა და მინანქარში **ლუკა ყარყარაშვილი** და **ნიკა ჩაჩუა** საუკეთესონი იყვნენ. სკოლას ჰყავს მუსიკალურად ძლიერი, პერსპექტიული მოსწავლეთა გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობს პედაგოგი **ციცი ბიჭიკაშვილი**. შესანიშნავად ცეკვავენ **ნიკა** და **მათე ბერძულები, ნიკა და გიორგი ჩაჩუები, ნიკა ჯანიაშვილი.**

მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდაში არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება სპორტს. სპორტის მასწავლებელია საქართველოს თორმეტგზის ჩემპიონი ნახევარ მარათონში და არა მხოლოდ საქართველოში, არამედ თურქეთშიც არის ცნობილი – **ჰამლეტ მამიკონიანი**.

საქართველოს რაგბის ნაკრების წევრია **ელდარ ლაბაძე**, ასევე „ნორჩი დინამოელი“ – **ანრი გარაბალი**.

სკოლას ჰყავს ჭადრაკის ფედერაციის მიერ გამართულ ტურნირებში გამარჯვებულები: **მარიამ ონიანი, ნიკა ჯანიაშვილი და ლუკა ჩიტიაშვილი**. „კიოკუშინ კარატეში“ კი სკოლის სახელს წარმოაჩენს **თამთა ჩუბინიძე**, „კიო კუშინკაი კარატე დო“ – ფედერაციის მენეჯერი XII კლასელი **მარიამ ჩუბინიძე**.

სკოლას ჰყავს სამების ტაძრის სტიქაროსანი **საბა ბუაძე**. მუხრანში კი – მეტეხის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში – **გიორგი გეჯაძე**.

„**პეგასის**“ მიზანი მეტად საპატიოა: მომავალი თაობის საზოგადოების ღირსეულ წევრებად ჩამოყალიბება და მათთვის ისეთი განათლების მიცემა, რომელიც ჩვენი ქვეყნის მომავალს წარმატებულს გახდის. მართალია, ამ მიზნების მისაღწევი გზები მეტად რთულია, მაგრამ სკოლა თავის ძლიერ პედაგოგებთან ერთად მაქსიმუმს გააკეთებს, რომ მიაღწიოს ამ მეტად კეთილშობილურ მიზანს. „**პეგასი**“ იმიტომაა ცოდნის ფრთოსანი ცხენი, რომ განათლების სივრცეში ნავარდობს და სიმაღლეებს იპყრობს.

გილოცავთ დამდეგ ახალ წელს „პეგასელებო“. იგი ყოფილიყოს თქვენი ბედნიერებისა და გამარჯვების წელი.

ნანა ფიფია

„იზარდე, მწვანე ჯეჯილო, დაპურდი, გახდი ყანაო!“

აქ მზესუმზირები ზამთარშიც მზესავით ჩახჩახებენ

მინდოდა წერილისთვის სხვა სათაური მიმეცა, მაგრამ... ოთხი წლის წინანდელი ხიბლი დღესაც მომყვება. ახლაც ზამთარში აქ მზესუზმირები ისევ მზესავით ჩახჩახებენ, განა მარტო მზესუმზირები – მზის სხივები ჩასდგომიათ დიდ პეპლებს, კარუსელებს, სასრიალოს, „აიწონა-დაიწონას“, „აჩუ-აჩუ ცხენოს!“. მხოლოდ „სოხუმის მატარებელი“ დასევდიანებულა.

გულს ნუ გაიტეხთ, დევნილნო! ოპტიმიზმს არაფერი ჯობია. ჩემთან ერთად მინდა თქვენც გაგამხნევოთ ლეონიძის სტრიქონებით: „სხივაკრეფილი მზე ჩადის, ვარსკვლავმაც შეიჭახჭახა, მზე ჩადის? მზე ხვალ ამოვა, უფრო დიდი და ჩახჩახა“.

რაც ზემოთ აღვწერე, დედაქალაქში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ულამაზესი მე-100 ბაგა-ბაღის სავიზიტო ბარათია. ახლა შენობის შიგნით შევიხედოთ: „ეს თვალები რას ნახავენ სხვას უკეთეს სანახავსა!“ აი, ნამდვილი ბავშვთა ზღაპრული სამყარო. აქ ყველგან თოჯინები იცინიან. აქ ყველგან ბავშვებისთვის საყვარელი, ზღაპრებიდან გადმოსული პერსონაჟები დადიან. ეს ხომ ყველაფერი მათ ფანტაზიას, უნარ-ჩვევებს ავითარებს. ბაგა-ბაღის ინფრასტრუქტურის აღწერაზე მელანს არ დავხარჯავ, მხოლოდ ერთს ვიტყვი: აქ ცეროდენების ბედნიერი ბავშვობა გარანტირებულია.

და ამ ცეროდენათა საოცარი სამყაროს დიდი და კეთილი დიასახლისი გახლავთ მეტად გამოცდილი, ბავშვებზე დედასავით შეყვარებული ქალბატონი **მეგი მარღანია**. იგი აფხაზეთიდან დევნილია, დამთავრებული აქვს თსუ სოხუმის ფილიალის ფაკულტეტი, ასევე – დედაუნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტი. ინგლისური ენის ჩინებული სპეციალისტია. ამ ენას ეფექტიანად ასწავლიდა თბილისის 29-ე საჯარო სკოლაში და თსუ სოხუმის ფილიალში. იყო აფხაზეთის საბავშვო ბაღის პედაგოგ-აღმზრდელი. მე-8 წელია მე-100 ბაგა-ბაღს განაგებს. სანაქებო დირექტორიაო, ძალიან გვიყვარსო, – ამბობენ ბავშვები, მშობლები, თანამშრომლები.

რადგან კადრებზე ვსაუბრობთ, მინდა ღვაწლმოსილი პედაგოგები გაგაცნოთ, მკითხველო. ბაგა-ბაღის სული და გულია დიდად ნაამაგარი, დამსახურებული პედაგოგი, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორ-მეთოდისტი **ნანული ჟღენტი**. მისი ღვაწლი დიდად დასაფასებელია.

მას მხარს უმშვენებენ ბაღის დაარსების დღიდან აქ ჯაფაგამოვლილი აღმზრდელები: **მარინე ბეჟიტაშვილი და მარინე ხმალაძე**. დაგელოცოთ მარჯვენა!

ბაგა-ბაღის გაძლიერება-კეთილდღეობაში დიდი წვლილი შეაქვთ: სამეურნეო ნაწილის კოორდინატორს **მზია ხელაიას**, საქმის მწარმოებლებს: **ელისო ბოჭორიძეს** და **ეკა ბასარიას**, ფსიქოლოგ – **ბელა ჯოხაძეს**, სპეცპედაგოგს **ლელა ებანოიძეს,** რაც მთავარია, ყველა აღმზრდელთანაშემწეს, რომელთა დასახელებას მრავალრიცხოვნობის გამო ვერ ვახერხებთ. ყველას მადლობა თავდადებული შრომისათვის!

მუსიკალური დარბაზიდან ტკბილმშობლიური ჰანგები დაირხა. ცუგრუმელები ემზადებიან საახალწლო ზეიმისათვის. ცეროდენებს სულს უფაქიზებენ და ხელოვნების სიყვარულით ზრდიან მუსიკის ჩინებული პედაგოგები: **ლეილა მაჩაიძე, ცისანა გრიგოლავა, გენრიეტა ზაქარიაძე**, ცეკვის მასწავლებლები: **ნათია ცხვარაძე და ეკა კახნიაშვილი**.

შენობაში მშვენიერი გათბობაა. ასე რომ ცეროდენებს ზამთრის არ ეშინიათ. მათ არც ინფექციების ეშინიათ, ისეთი გამოცდილი ექიმები უვლიან **თამარ გოგმეჩაძისა და მარიამ ქავთარაძის** სახით.

კვებას არ იკითხავთ? საუკეთესოა. პატარებს დედისგან გაკეთებულს ურჩევნიათ მზარეულების: **მარინე სვანიშვილის, ეკა ბზარაშვილის, იზო პოპიაშვილის,** მათი დამხმარეების: **ნატალია ესართიას**, **ნანული ბერულავას, ინგა ტურაშვილის** მიერ დამზადებული ყუათიანი, არომატული კერძები.

აღმზრდელ-პედაგოგები, შემოქმედებითად მუშაობენ ცუგრუმელებთან სააღმზრდელო პროგრამების სახელმძღვანელოს მიხედვით. სახავენ ღონისძიებებს, პრიორიტეტულია ცხოვრებისეული და შემეცნებითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, პატრიოტული, ესთეტიკურ-ზნეობრივი აღზრდა, სასკოლოდ მათი მომზადება. ამ კუთხით მაღალ შედეგებზე ორიენტირებულია პედაგოგთა ძალისხმევა. ნამდვილად არის სასიხარულო შედეგები. ძალიან ბევრი უაღრესად ნიჭიერი, ხელოვნებისადმი მიდრეკილი თვალხატულა გოგო-ბიჭია. ეს არის: ცეკვა, სიმღერა, ხატვა, ძერწვა, დეკლამაცია... ვინ იცის, ვის უცინის ბედის ვარსკვლავი, ვინ გახდება დიდი მაესტრო.

აღმზრდელები ბევრს ზრუნავენ, მათი ნიჭის ნაპერწკალი შეამჩნიონ, ხელი შეუწყონ და ჩირაღდნად აქციონ!

დირექტორის კაბინეტში ჯილდოების სტენდმა დამაინტერესა. აი, ძვირფასი სერთიფიკატები, დიპლომები, სიგელები მიღწეული წარმატებებისთვის, საქალაქო და რაიონულ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის, „**ნაბიჯ-ნაბიჯ**“ პროგრამის და სხვა პროექტების შესრულებისთვის. დირექტორს ეამაყება საქართველოს „**პორტიჯის**“ სიგელი ინკლუზიური აღზრდა-განათლების დანერგვისათვის. აი, „**თბილისობა-2014**“-ში აქტიური მონაწილეობისთვის მიღებული მადლობის სიგელი, რომელსაც ხელს აწერს გლდანის რაიონის გამგებელი **ბესიკ ქარცივაძე**.

გამარჯობათ, მე-100 ბაგა-ბაღელებო!

– ყველა თანამშრომლის სახელით დიდი მადლობა უნდა მოვახსენო რაიონის გამგებელ **ბესიკ ქარცივაძეს**, დედაქალაქის ბაგა-ბაღების სამსახურის კოორდინატორს **თემურ თორდინავას** და თბილისის მერს ბატონ **დავით ნარმანიას** მე-100 ბაგა-ბაღის მიმართ გამოჩენილი მზრუნველობისათვის. მაგალითად, დედაქალაქის მერმა ჩვენი ეზო უამრავი მწვანე ნარგავით გაამდიდრა. დარგვაში ჩვენი აღსაზრდელებიც მონაწილეობდნენ. ასე რომ, ეს აქცია შრომით ზეიმად იქცა, – განაცხადა ჩვენთან საუბარში **მეგი მარღანიამ**.

კიდევ ბევრი სამადლობელი და საქებარი მაქვს სათქმელი ამ ბაგა-ბაღზე, მის შრომისმოყვარე, შემოქმედ კოლექტივზე, მაგრამ ამჯერად ეს ვიკმაროთ, დანარჩენი მომავლისთვის გადავდოთ.

ახალი წელი მოდის თავისი ბრწყინვალება-ძლევამოსილებით. მშვიდობიანი, სიკეთის მომტანი ყოფილიყოს იგი საქართველოსთვის. განსაკუთრებით დევნილებისთვის, მათი დაბრუნების მიზნით რადიკალური ძალისხმევის წელი ყოფილიყოს.

გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, ზღვა სიხარულს და ბედნიერებას გისურვებთ, მე-100 ბაგა-ბაღელებო!

მაია მიშველაძე

თბილისის მე-9 ბაგა-ბაღში

შემოდგომის ფესტივალი

მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში ქალაქ თბილისის 9-ე ბაგა-ბაღში ჩატარდა შემოდგომის ფესტივალი. ლამაზად გაფორმებულ ეზოში წარმოდგენილი იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხე: ფშავ-ხევსურეთი, რაჭა, იმერეთი, სამეგრელო, კახეთი, ყველა თავისი ტრადიციებით, კულტურით, ხელოვნებით, დამახასიათებელი კულინარიული შედევრებით.

ფშავ-ხევსურეთის კუთხეში ბავშვები დასაქმებულები იყვნენ. ზოგი მატყლის ჩეჩვით, ზოგი წინდების ქსოვით, ზოგიც კუბდარის კეთებით. ნაწილი კი სვანურ ცეკვას უჩვენებდა მაყურებელს. ყველა კუთხე იმდენად ლამაზად და იმ კუთხისთვის დამახასიათებელი ატრიბუტებით იყო მორთული, რომ კითხვაც არ ჩნდებოდა განმარტებისთვის, თუ რომელ მხარეში იმყოფებოდნენ სტუმრები.

ლამაზად იყო მორთული გურია-იმერეთის კუთხე. ბავშვები და მასწავლებელი ტრადიციულ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი. ბავშვები ბერტყავდნენ კაკალს, არჩევდნენ სიმინდს, კრეფდნენ ხილს, კეცებზე აცხობდნენ მჭადებს. მოკლედ ეჭვი არ იყო, რომ ვიმყოფებოდით იმერეთსა და გურიაში.

მოგზაურობა გაგრძელდა და ვესტუმრეთ რაჭას, სადაც სამფეხა ზედადგარზე შემომდგარ ლობიოს ქოთანში სიფრთხილით ზელდა ბავშვი. თონეში ჩაკიდებული ლორი და სულგუნიც მადისაღმძვრელად იყურებოდა. ლობიანების გამოცხობასაც აპირებდნენ ბავშვები. რაჭული „გიორგუნა“ კი ნამდვილი რაჭველებივით იცეკვეს.

სამეგრელოს კუთხე, დადიანების სასახლით იწყებოდა. აქ ყველაფერი მეგრული ტრადიციებით იყო გაჯერებული. თავშალწაკრული და წინსაფრიანი გოგონები ცეცხლზე შემომდგარ ღომის ქვაბს ამაყად ურევდნენ და თითქოს შექების მოლოდინშიც იყვნენ.

მოგზაურობა დამთავრდა კახეთში. კახური მრავალჟამიერით შეეგებნენ პატარები სტუმრებს. სპეციალურ საწნახელში ბავშვებმა დაწურეს ყურძენი, მოადუღეს თათარა, ამოავლეს ჩურჩხელები. ხალიჩაზე წამოკოტრიალებული ლუარსაბი და დარეჯანი კი საჭმელების სუნით ტკბებოდნენ. ლამაზად გაფორმებულ ურემზე შებმული იყო ვითომ-ვითომ „ვირი“. ურემი კი მორთული იყო პატარ-პატარა ფიალებით, დოქებით, ჭრელა-ჭრელა ფარდაგებით. მხიარულობდნენ და ცეკვავდნენ ბავშვები და მასწავლებლები. ხალისიანად დამთავრდა ეს, კიდევ ერთი ლამაზი დღე ბაგა-ბაღში, რომელიც ალბათ დიდხანს ემახსოვრებათ არა მარტო ბავშვებს, არამედ მშობლებსაც და სტუმრებსაც, რომელთა შორის ღონისძიებას ესწრებოიდნენ: ქალაქ თბილისის მერის მოადგილე **ალუდა გოგლიჩიძე**, საბავშვო ბაგა-ბაღების სააგენტოს დირექტორი **თემურ თორდინავა**, თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგებელი **ზაზა გაბუნია** და სხვები.

ამ ღონისძიების სულისჩამდგმელები იყვნენ ბაგა-ბაღების სააგენტო, ნაძალადევის გამგეობა, ბაგა-ბაღის დირექტორი, ქალბატონი **მანანა ჭილაია**, რომლებსაც მთელი ენთუზიაზმით ედგნენ მხარში აღმზრდელები, მათი თანაშემწეები, ძიძები, ბაგა-ბაღის ყოფილი გამგე, ქალბატონი **თინათინ ბაზლიძე**, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის მომავალი თაობის აღზრდა-განათლებაში, ასევე – მეთოდისტი და ფსიქოლოგი მშობლებთან ერთად.

მსგავსი ღონისძიებები, რომლებიც ტრადიციულად ტარდება ბაგა-ბაღში, ხელს უწყობს ბავშვებში პოზიტიური უნარ-ჩვევების განვითარებას, თავისი სამშობლოსადმი სიყვარულის აღზრდას.

რომან მოსეშვილი,
ნანა მჭედლიძე

ჩვენი მეგობარი გურამი

(გურამ ხანდამიშვილი 80 წლისა გამხდარა!)

შენი მეგობარი **გურამი** ოთხმოცი წლისა გამხდარაო, – მითხრეს. გამიკვირდა, რა დროს მისი ოთხმოცი წელია-მეთქი. ჯერ ერთი, სეიფში მიდევს მისი პირადი საქმე, მისი ხელით შევსებული ანკეტა და, მერე, შენი წლოვანება თუ გახსოვსო, ნეტავი? – სიცილით მითხრა ჩვენი ინსტიტუტის საქმეთამმართველმა.

მარცხნიდან: ოთარ ხაზარაძე, მიხეილ კეკელიძე, გურამ ხანდამიშვილი და ზურაბ ცუცქირიძე.

დღეები ბრუნავს ვით კამათელიო, – **გალაკტიონმა**. დღეები კი არა წლები გაგორებულან კამათლებივით, ჩვენ რომ ვერ შეგვიმჩნევია, ისე. არა და, ორმოცდასამი წლის წინ გავიცანი ეს კეთილაღნაგი, ცისფერთვალება ბრგე ვაჟკაცი, სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალ „**სკოლა და ცხოვრების**“ რედაქციაში რომ მომიყვანა ცხონებულმა **გრიშა საჯაიამ**, ამ ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა. აი, ამასთან იმეგობრეო, – მითხრა, – უღალატო კაცია, უზადო პროფესიონალი, ბევრ რამეს ისწავლიო მისგან. მართალი იყო, ის სულ-განათლებული.

ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქცია იმ ხანად გვარიან პედაგოგიურ გამომცემლობას წარმოადგენდა. ყოველთვიურ ექვსფორმატიან მთავარ ჟურნალთან ერთად, მისი ყოველკვარტალური ხუთფორმიანი ჟურნალებიც გამოდიოდა. საკმაოდ დიდი სარედაქციო კოლექტივი იყო – ძირითადი თუ მოწვეული რედაქტორები და მათი მოადგილეები, ავტორიტეტული სარედაქციო კოლეგიები. სარედაქციო-საგამომცემლო საქმე დუღდა და გადმოდუღდა. ამ შემოქმედებითი კოლექტივის ნამდვილი ღერძი და ერთ-ერთი ძირითადი საყრდენი სწორედ **გურამ ხანდამიშვილი** იყო. ამ ახალგაზრდა კაცს უკვე მოესწრო გამომცემლობა „**განათლებაში**“ მოღვაწეობა ერთ-ერთი წამყვანი რედაქტორის პოსტზე და კარგა გვარიანი გამოცდილებით დატვირთული მოსულიყო ჟურნალის რედაქციაში.

იმ დღიდან დაიწყო ჩვენი საქმიანი თანამშრომლობა და პირადი მეგობრობა. ჩვენი რედაქცია ერთი დიდი ოჯახი იყო. ერთი გვქონდა საქმე და საზრუნავი, ლხინი და, სამწუხაროდ, ჭირიც, ყოველდღიური საკეთებელიც და სალაღობოც. ამ ყველაფერში გამორჩეული როლი გურამს ეკისრებოდა, რადგან ყველას მისი იმედი ჰქონდა უპირველესად.

თბილისში დაბადებულსა და გაზრდილს (თუმცა ხშირად იტყვის ხოლმე, ქიზიყელი, მირზაანელი ვარ წარმოშობითო) წიგნიერება და ცოდნისმოყვარეობა ოჯახიდან მოსდგამს. პაპამისი ერთ-ერთი ბოლშევიკური გაზეთის რედაქტორი იყო და თეთრგვარდიელებმა იმსხვერპლეს სამოქალაქო ომის წლებში. დედ-მამაც განათლებულები იყვნენ, თვითონ კი მედალზე დაამთავრა სკოლა და მას შემდეგ წიგნი და კალამი ხელიდან არ გაუგდია.

„**სკოლა და ცხოვრების**“ რედაქციაში მუშაობის პროცესში პედაგოგიკაში დისერტაციის დაწერა და წარმატებით დაცვაც შეძლო. არა და, იმ დროს დისერტაციის დაცვა ისე ხელწამოსაკრავი საქმე კი არ იყო, როგორც ახლაა. მახსოვს, მოსკოვიდან მოწვეულმა მისმა ოპონენტმა, ცნობილმა მეცნიერმა და მწერალმა **იური აზაროვმა** თავის გამოსვლაში თქვა: ამ დისერტაციის ავტორს ნებისმიერი ინსტიტუტი დიდი სიხარულით მიიღებდაო.

გურამ ხანდამიშვილის მიერ დაწერილ და გამოქვეყნებულ ნაშრომებს ვერ ჩამოვთვლი და არც შევეცდები. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მას ანგარიშგასაწევი ავტორიტეტი ჰქონდა მეცნიერ-პედაგოგთა წრეებში, როცა ასეთი წრეები არსებობდა ჩვენში. განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა მისი მეცნიერული ნიჭი და ერუდიცია, **იაკობ გოგებაშვილის** სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დირექტორის მოადგილის პოსტზე მუშაობისას. კარგი ორგანიზატორი, პირუთვნელი შემფასებელი, ობიექტური და პრინციპული ხელმძღვანელი, – ასე იცნობენ მას ყველგან, სადაც კი საქმიანი კავშირ-ურთიერთობა აქვს და ჰქონია.სრულიად დამსახურებულად აქვს მას მინიჭებული საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, სახალხო განათლების წარჩინებულის საპატიო წოდებები და იაკობ გოგებაშვილის მედალი.

ეს ყველაფერი ასეა და ბევრად უფრო მეტიც, მაგრამ არანაკლები აღიარება აქვს მოპოვებული ძმობა-მეგობრობაში. ის არის ყველასათვის სასურველი თანამშრომელი, **გრიშა საჯაიას** თქმისა არ იყოს, საიმედო, უღალატო კაცია და იმიტომ. რუდუნებით იცის საქმის კეთება, არავის ამადლის თავის შრომას, თუმცა მუდამ სხვებზე მეტს აკეთებდა, ხშირად სხვის საკეთებელსაც. სწორედ მისნაირ კაცებზე იტყვიან, პირზე ოფლგადამდინარეაო. დიდებული თანამეინახე იყო ჩვენს დაუვიწყარ სუფრებზე...

...მეამაყება, რომ ბევრი დრო მაქვს გატარებული მასთან ერთად. ამ სასიამოვნო ურთიერთობაში წლებმა ისე გაირბინეს, როგორც „ნაბდით დაჭედილმა ბედაურებმა“ და ამიტომაც გამიკვირდა მისი ოთხმოცი წელი.

ოთხმოცი წელი, ჩემო გურამ, ბევრიც არის და ცოტაც. ბევრია იმისთვის, ვისაც უქმად აქვს გავლილი მისი წუთისოფელი, ხოლო ცოტაა შენნაირი კაცისათვის, ვისაც საქმე და საკეთებელი მუდამ ჰქონდა და კვალავაც ექნება. ამიტომ, გისურვებ დიდხანს შემოქმედებით ცხოვრებას და პირად ბედნიერებას შენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
პედაგოგიკის ინსტიტუტის მეცნიერ-
მკვლევართა სახელითა და დავალებით
ზურაბ ცუცქირიძე

ოთხი ლექსი კრებულიდან „ჩემი არასრული მე“

დროის მარაო

ისევ გველის გამოცდა,
უიშვილის რელსები,
ეხ, ვაგზლებს ვერ გამოცდა
ჩვენი ინტერესები.

ნატო ისევ გვახანებს,
ტოლი ჯერობს ტოლითა,
ვაი ჩვენ, თუ გვახარებს
განსახლება ლტოლვილთა.

ეზო-კარი მოგვტირის,
დაკბენილი გველისა,
„ვასარადას“ მოტივის
სამეზობლო გველისა.

მიწას უბით ვატარებთ,
რთგორც საბუთს ვინახავთ,
მთელ მიწა-წყალს ვადარებთ,
სხვა სამშობლო ვინ ნახა?

დაშვრა დროის მარათ,
ეს თუ არა, მა რათ?
მერეთ, ჯერ არათ,
გვესმის წარამარათ.

არ გველევა მწყემსები,
თუმც არა ვართ ფარათ,
ვერ დადგინდა წესები,
გეყოთ, კმარა, კმარათ!

რედაქციაში

ერთხელ დილით, ზამთრის პირზე,
ჟინჟღლიანი თოვისას,
„ლიტგაზეთში“ მივიტანე
ლექსი, პირველ ყოვლისას.

შემომხედა რედაქტორმა
ისეთნაირი ღიმილით,
თავი ვიგრძენ საცვლის შიდა
აწყვეტილი ღილივით.

ვდგავარ, ვიცდი ატუზული,
ვიდრე რამეს მეტყვიან,
თითქოს ვიყოთ აქ მთსული
ის მტრედი და მე ტყვია.

მივხვდი, შევცდი, ამის შემდეგ
რთგორ გავეკარები!
თავი მდაბლად დავხარე და
გამოვხურე კარები.

ერთ „ახალგაზრდა“ პოეტს

პოეტი ერს უძღვის!
განა რიგს, განა მწყობრს?
თაბუნის პოეტი მოძმეთ ვერ განაწყობს.
პოეტი თუ უნდა ვიღაცას მიეხრთოს,
ის დღე დაეხოს!

პოეტი ბრძანებით ცეკვას რომ დაიწყებს,
ის დღეც დაიწვეს!
პოეტი თუ უნდა უცხოეთს გაიქცეს,
ის დღე დაიქცეს!

პოეტი თუ უნდა მლიქვნელად გადიქცეს,
ის დღეც დაიქცეს!
პოეტი თუ უნდა ქუჩაში წაიქცეს,
ის დღეც დაიქცეს!

თუ ყურადღებას არავის არ იქცევს,
ის დღეც დაიქცეს!
პოეტი თუ უნდა ასე დაეშვას,
იქ პოეტს უნდა წერტილი დაესვას!

ლოთბაზარა ძმაკაცს

ყოველდღე რომ „ტოსტებს“ მასმევ,
განა ამდენს ავიტან.
რაც გუშინ თქვი, ამბობ მასვე,
თანაც ლოთებს ვერ ვიტან.

გაატანე ქარს და ნაგავს,
რაც არ გქონდა, ისიც კი,
მე რას მერჩი, სმას ხომ მიაქვს
საზრუნავი სხვისიც კი.

არ გამოვა, ძმათ, მასე,
აი, ჩემი ლოგიკა!
„ფეხზე ქეიფს“ მეც ვაფასებ,
მაგრამ... პედაგოგიკა?

კაცი გქვია, ღმერთმა იცის,
არ გეშლება ავ-კარგი...
და, მეც ვუძლებ ამდენ ღიცინს,
ძმა ხარ არდასაკარგი.

ალეკო შენგელია – 100



პოეტის გულთბილი მოგონება

ანდერძი

იმ პატარა სიყვარულის ცრემლებს ვფიცავ,
იმ თეთრ აკვანს, დედაჩემის ცისფერ თვალებს,
ვფიცავ მიწას, ვაჟას გულზე დაყრილ მიწას,
რიჟრაჟს ვფიცავ, ნისლებში რომ იფერმკრთალებს;

თუ ჩემს ზეცას, ჩემს მწვერვალებს ცადასრულილს
წაეპარა ყორნისფერი ღამე მძიმედ, –
ამოვწვადო ხმალი ელვით ანაჟრჟოლი,
ვარსკვლავებით მოხარული, მოციმციმე.

თუ დავეცე, – ნუ მიტირებთ დანანებით,
ნაღველს გულში არასოდეს გავივლებდი,
საქართველოს ლამაზებო, მანანებო,
დამაყარეთ თქვენი ფერის ყვავილები.

გული დამაქვს სიყვარულის განახელი,
მყვარებია... ჰო, ცრემლებიც მყვარებია;
ჩემი ქვეყნის ძველი დარდი და ნაღველი,
ხანჯალივით გულში გამიტარებია.

გაღიმებაც შემიძლია აპრილისა,
ხარირემის ვაჟკაცური დაძახილიც...
– შენი ლექსი ქედმაღლურად გაჰყვირისო, –
მეტყვის ვინმე, სტრიქონებზე თავდახრილი.

– თათბა ვარ, ავთანდილის გაწაფული,
სიყვარული უბით დამიტარებია,
ჩემი თეთრი ცისარტყელა, გაზაფხული,
თებერვალში აპრილს დამიდარებია...

დავიღუბო!.. ნუ მიტირებთ დანანებით...
ნაღველს გულში არასოდეს გავივლებდი...
ჩემი ქვეყნის ლამაზებო, მანანებო,
დამაყარეთ გაზაფხულის ყვავილები.

გამოჩენილ ქართველ პოეტს **ალეკო შენგელიას** დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა. ამ დღეებში მწერალთა სახლში პოეტის იუბილესადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო და მისი ახალგამოცემული წიგნის პრეზენტაცია გაიმართა.

საღამოს უძღვებოდა ჟურნალისტი **ივანე ჯაფარიძე**. სიტყვით გამოვიდნენ მწერალთა კავშირის საპატიო თავმჯდომარე, გამოჩენილი პოეტი **ჯანსუღ ჩარკვიანი**, მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე **მაყვალა გონაშვილი**, ცნობილი მწერალი **გურამ ბათიაშვილი**.

უჩვენეს ვიდეომასალა, სადაც თავად პოეტი **ალეკო შენგელია** კითხულობდა საკუთარ ლექსს „**ანდერძი**“. ასევე მოუსმინეს **მურმან ლებანიძეს**, რომელიც სიტყვას ამბობდა **ალეკო შენგელიას** შემოქმედებაზე. **მურმანმა** ემოციურად წაიკითხა **ალეკო შენგელიას** პოპულარული ლექსი „**შველი**“. ვიდეოფილმში მწერლები **ჯემალ აჯიაშვილი** და **ოტია იოსელიანი** იგონებდნენ პოეტს და პიროვნებას ალეკო შენგელიას.

მომღერლებმა **თემურ წიკლაურმა**, **ნუგზარ კვაშალმა** და **ბესიკ კალანდაძემ** ალეკო შენგელიას ლექსებზე შექმნილი მეტად პოპულარული სიმღერები შეასრულეს.

ბოლოს სამადლობელო სიტყვით გამოვიდნენ პოეტის ძმიშვილები **გიზო** და **რამაზ შენგელიები**. შვილიშვილი **ნათია ქობალია**. საღამომ თბილ და სასიამოვნო ატმოსფეროში, „წარსულისადმი ნდობა პატივის“ ნიშნით ჩაიარა.

საკუთარი ინფორმაცია

ჰაროდიული აფორიზმები

სოციალური

***

მას დედის ძუძუ ტკბილი არაფრად შერგებია,
მასწავლებლის დახმარება ვისაც დაზარებია.

***

სწავლის ძირი მწარე არის, კომპიუტერში გატკბილდების?

***

რომ არ ვიწვალო წიგნებით ბევრი, აგერ არ არის კომპიუტერი?

***

რაღა ჯობია თუ ვარდი, უეკლოდ მოიკრიფების.

***

წიგნის კითხვა ძნელი არის, კომპიუტერში იოლდების.

***

საქმის კეთებაა ძნელი, თორემ კრიტიკოსი ბაღდადიდანაც მოვაო.

***

ამერიკული ჭინჭები ურჩევნია მას მამულსა.

***

ბრაიზას, ბაროზოს, ბილდტს, ნავაროს თუ ფულეს,
გონს მოვეგოთ, ქართველებო, ნუ შევაჭმევთ ჩვენს ფულებს!

***

ბევრ დაპირებულს ცოტა შესრულებული ჯობიაო.

კინდღელი

ნოსტალგია

თქვენს წინაშე წარმოდგენილი ფოტო აფხაზეთიდან დევნილებისაა და ასახულია **ოჩამჩირის რაიონის სოფ. ახალი კინდღლის** IX-X კლასელთა ერთი ჯგუფი მშობლიური სკოლის წინ. მაშინ ისინი უსაზღვროდ ბედნიერები იყვნენ, დღეს კი... ზოგიერთი მათგანი ამ სამზეოში აღარ არის. ვინც კი ცოცხალია, იმედით გაჰყურებს ენგურის ბურუსიან ნაპირებს. ტკბილ-მწარეა მათი მოგონებები წარსულზე, მშობლიურ სოფელზე.

დგანან მარცხნიდან მარჯვნივ: **უცნობი ბიჭი, გელა მიქიაშვილი, იუზა კოპალიანი, ლალი ახვლედიანი, ლიანა რუხაია, მზია კვარაცხელია, ლეილა ქობალავა, ლუიზა ჩორგოლიანი, ადელინა ჩიქოვანი, ნ. ახალაია.**

სხედან: **ზურაბ ქობალია, ნ. დანელია** (?) მათემატიკის მასწავლებელი **რეზო მატუა**, ბიოლოგიის მასწავლებელი **ნაპო გერგედავა**, **ლ. სურმავა** (?) **მურმან მოგელაძე**.

ფოტო მოგვაწოდა დამსახურებულმა პედაგოგმა **ნაპო გერგედავამ**.

ნომრის რედაქტორი
ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+
№6 (4503)
10 დეკემბერი, 2014 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

E-mail: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(0 32) 2 98 48 07; (0 32) 2 99 63 52

ISSN 1987-9113